ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N60-7-222-149

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჯარო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ მიწოდების შესახებ

ქ.თბილისი **21.03.2022 წ.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი **სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202238621; შემდგომში – სააგენტო), წარმოდგენილი პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსხურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მარიამ ტურაშვილის მიერ და **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204995176 შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში, დირექტორთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის (მინდობილობა N210506896) სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც მხარეები, თანხმდებიან თანამშრომლობაზე, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი

მხარეები წინამდებარე შეთანხმებით მიზნად ისახავენ ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით გაამარტივონ შემსყიდველის მიერ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების შესახებ სააგენტოდან ინფორმაციის მოძიების პროცესი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშკერულების საგანია **სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შემსყიდველისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (CPV-72300000; CPV-72321000),** იმგვარად, რომ ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ფარგლებში შესაძლებელი გახდეს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში არსებული მონაცემების მოპოვება. შესაბამისი მონაცემების და მათი მოპოვების წესი და პირობები აღწერილია დანართი №1-ში. დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2. სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით დადგენილი ინფორმაციის მიწოდება ხდება პროგრამული უზრუნველყოფის ე.წ. **ATOM**-ის საშუალებით.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. მხარეები ვალდებულნი არიან:

3.1.1. ხელშეკრულების პირობები შეასრულონ კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, შეთანხმებულ დროსა და ადგილას, მხარეთა თანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით;

3.1.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ითანამშრომლონ ერთმანეთთან კონსულტაციისა და ურთიერთდახმარების სხვა მეთოდებით;

3.1.3. უზრუნველყონ სისტემის და ინფორმაციის დაცვა არასანქცირებული წვდომისაგან და პასუხისმგებლები არიან მათი სისტემის მეშვეობით მიღებული/მოძიებული ინფორმაციის სიზუსტესა და დროულობაზე.

3.2. სააგენტო ვალდებულია:

3.2.1. უზრუნველყოს მომხმარებლის პროგრამული მხარდაჭერა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

3.2.2. უზრუნველყოს სარგებლობის უფლების განსახორციელებლად აუცილებელი სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (IT) კომუნიკაციების გამართული ფუნქციონირება;

3.2.3. სარგებლობის უფლების განსახორციელებლად უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული 2 (ორი) „მომხმარებლის სახელისა და პაროლის” მომზადება. ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულება უნდა შესრულდეს ამ ხელშეკრულების დადებიდან ან მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილებაზე ახალი შეთანხმების შემთხვევაში ამ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) სამუშაო დღისა;

3.2.4. მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ელექტრონული მონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით აუცილებელი ინფორმაცია;
3.2.5. პროგრამული უზრუნველყოფის მოდერნიზაციის/განახლების/ცვლილების შემთხვევაში მიაწოდოს შემსყიდველს ელექტრონული პროგრამით სარგებლობის შესახებ ახალი ინსტრუქცია, თუ ცვლილება არსებით გავლენას ახდენს სარგებლობის უფლების განხორციელებაზე;
3.2.6. აცნობოს შემსყიდველს დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოებისა და ინფორმაციის მიღების შეფერხების შესახებ ერთი კვირით ადრე, გარდა პროგრამის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი მიმდინარე სამუშაოებისა.

3.3. შემსყიდველი ვალდებულია:
3.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების შესრულების პროცესში არ დაუშვას სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის;
3.3.2. არ დაუშვას სააგენტოს მიერ სარგებლობის უფლების განხორციელების მიზნით შექმნილი „მომხმარებლის სახელის და პაროლის“ გამოყენება სხვა პირის მიერ, გარდა საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი პირისა;
3.3.3. შეთანხმებულ ვადაში გადაიხადოს ხელშეკრულებით დადგენილი საფასური.

მუხლი 4. მხარეთა უფლებამოსილების ფარგლები და პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები:
4.1. მხარეთა უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით;
4.2. სააგენტო უფლებამოსილია შეიტანოს გარკვეული კორექტივები ელექტრონულ პროგრამაში, თუ ეს ცვლილება ხელს არ შეუშლის შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის უფლების რეალიზაციას;
4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი პროგრამული ხარვეზის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, რის შესახებაც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს;
4.4. სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის დადგენილ ვადაში გადახდა;
4.5. თუ შემსყიდველი მიიჩნევს, რომ სააგენტოს ელექტრონული სისტემის მონაცემები კონკრეტულ შემთხვევაში ექვემდებარება დამატებით დაზუსტებას, იგი უფლებამოსილია ინფორმაცია მოითხოვოს საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
4.6. სააგენტო პასუხს არ აგებს ხელშეკრულებით მინიჭებული სარგებლობის უფლების რეალიზაციის შეუძლებლობისათვის, თუ ეს გარემოება გამოწვეულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებისთვის აუცილებელი ტექნიკისა და კომუნიკაციების (მათ შორის, ინტერნეტკავშირის) გაუმართავი ფუნქციონირებითა და არასათანადო ტექნიკური მხარდაჭერით, რომლის უზრუნველყოფაც ევალება შემსყიდველს.

მუხლი 5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი
5.1. სააგენტოს მიერ შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ინფორმაციის მიწოდება ხდება საფასურის სანაცვლოდ, რომლის ოდენობა გამოითვლება შემდეგი წესით:
ა) ერთი მომხმარებლის საფასური წელიწადში - 1100 (ათას ასი) ლარი;
ბ) ამ ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველი ყიდულობს 2 (ორი) მომხმარებელს;
გ) მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების საფასური 2 (ორი) მომხმარებელზე შეადგენს ჯამში **2 200,00 (ორი ათას ორასი) ლარს წლიურად,** ხოლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით **550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარს;**
5.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მომხმარებლის დამატების შემთხვევაში ყოველ დამატებულ მომხმარებელზე წლიური საფასური შეადგენს 1 100 (ათას ასი) ლარს.
5.3. საფასურის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლში მითითებულ ანგარიშზე.
5.4. შემსყიდველის მიერ საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ამ ხელშეკრულების ხელმოწერის ან მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილებაზე ახალი შეთანხმების ძალაში შესვლისა და საფასურთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ შემსყიდველისათვის შესაბამისი ინვოისის წარდგენის დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
5.5. სააგენტოს მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2. პუნქტის თანახმად, ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საფასური დაითვლება გაწეული მომსახურების ხანგრძლივების შეაბამისად. ასეთ შემთხვევაში, სააგენტო

ვალდებული დაუბრუნოს შემსყიდველს ავტორიზაციის საფასური გაწეული მომსახურების დროის გამოკლებით, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 7 (შვიდი) დღის განმავლობაში.
5.6. საფასურის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე მის მიერ გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 6. მხარეთა კომუნიკაციის პირობები
6.1. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება წერილობითი შეტყობინების ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
6.2. სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მისამართია: support@napr.gov.ge, ხოლო შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართია: nino.mtsuravishvili@gse.com.ge.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა
7.1. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს.
7.2. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის შეტყობინების მინიმუმ ერთი თვით ადრე გაგზავნის შემდეგ.
7.3. ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტაზე, რის შესახებაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 5 დღით ადრე;
7.4. ამ მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეტყობინებად ჩაითვლება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარის ინფორმირება როგორც წერილობითი ფორმით, ასევე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
7.5. ხელშეკრულების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს პროგრამაში „მომხმარებლის სახელისა და პაროლის“ დაუყოვნებლივ გაუქმებას.
7.6. სააგენტოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, თუ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს მომსახურების საფასურის გადახდას 2 თვის განმავლობაში.

მუხლი 8. დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)
8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ნაკისრ ვალდებულებათა სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, დაუძლეველი ძალით, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
8.2. დაუძლეველ ძალაში იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა ან მათი ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ან გადაელახათ (სტიქიური უბედურება, ამინდის ექსტრემალური პირობები, ხანძარი, საომარი მდგომარეობა, საზოგადოებრივი უწესრიგობა, ჰაკერების შემოტევა და სხვა). წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს ფორს-მაჟორულ მდგოამრეობათა დასრულებამდე;
8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, გონივრულ ვადაში წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი
9.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.
9.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების ვალდებულებებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებები ხელშეკრულებაში
10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2022 წლის 1 აპრილიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით, სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2022 წლის 1 აპრილიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით;
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ -საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მის.: ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ. №22
ტელ.: (+99532)2251528
ს/კოდი: 202238621
მიმღები: სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მიმღების ბანკი: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში: GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 707427519

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
მის.: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2
ტელ.: (+99532)2983704
ს/კოდი:204995176
ს/ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშის №GE02TB0600000102467636

_____
მარიამ ტურაშვილი
პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

_____
დავით ვარდიაშვილი
დირექტორთა საბჭოს წევრი

სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს ATOM-ში ქვემოთ მოცემული ინფორმაციის მოძიება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, როგორიცაა:

1. საკადასტრო კოდი;
2. სახელი და გვარი;
3. პირადი ნომერი;
4. იურიდიული პირის სახელწოდება;
5. იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი.

მოძიებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს უძრავი ნივთის საკუთრების შესახებ ქვემოთ მოცემულ მონაცემებს:

1. აქტიური ინფორმაცია - საკუთრებაში არსებული ქონების, მესაკუთრისა და იპოთეკის/ /სარგებლობის/ვალდებულების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს

1.2. საკუთრების განყოფილება:
- უძრავი ნივთის საკადასტრო კოდი;
- უძრავი ნივთის მისამართი;
- საკუთრების აღწერა;

1.3. მესაკუთრის განყოფილება:
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მესაკუთრის პირადი ინფორმაცია;
- ბინის საკუთრების აღწერა;
- თანამესაკუთრეთა საკუთრების წილობრივი განაწილება;

1.4. იპოთეკის/სარგებლობის/ვალდებულების განყოფილება:
- იპოთეკის/სარგებლობის/ვალდებულების აღწერა;
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

2. სააღრიცხვო ბარათი - ბარათში მოცემულია უძრავი ნივთის სრული ისტორია.

2.2. უძრავი ნივთის საკადასტრო კოდი და მისამართი;

2.3. უძრავ ნივთზე ჩატარებული საკადასტრო ოპერაციები (ცვლილება, დაყოფა, გაერთიანება);

2.4. საკუთრების განყოფილება:
- ნაკვეთის/ბინის აღწერა;

2.5. მესაკუთრის განყოფილება:
- მესაკუთრის პირადი ინფორმაცია;
- ბინის საკუთრების აღწერა;
- თანამესაკუთრეთა საკუთრების წილობრივი განაწილება;
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.6. იპოთეკა/სარგებლობა/ვალდებულების განყოფილება:

- იპოთეკა/სარგებლობა/ვალდებულების დადება/ცვლილება/გაუქმების აღწერა;
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.7. გაუქმებული ნომრები:

- შემოსული განცხადება, რომლის სარეგისტრაციო წარმოებაც შეჩერდა, შეწყდა ან უარი ეთქვა;

2.8. ამონაწერის განახლებები:

- განცხადება, რომელიც შემოვიდა ტრანზაქციით „ამონაწერის მომზადება უძრავ ნივთზე“

3. ძველი საკადასტრო რუკა;
4. ახალი საკადასტრო რუკა ორთო ფოტოთი.

_____

მარიამ ტურაშვილი
პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

_____

დავით ვარდიაშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2022.03.21 13:41:24 +04'00'